




გლობალური ბაზრების მიმოხილვა

გლობალური ბაზრები
პერიოდული
31 მარტი, 2021

- 17-18 მარტის შეხვედრაზე, აშშ-ს ცენტრალურმა ბანკმა (FED) საპროცენტო განაკვეთები უცვლელად შეინარჩუნა და 2024 წლამდე ნულოვან ნიშნულზე შენარჩუნება დაანონსა. ამასთან, ცენტრალურმა ბანკმა 2021 წელს აშშ-ს ეკონომიკის ზრდის პროგნოზი 4.2%-დან (დეკემბრის პროგნოზი) 6.5%-მდე გაზარდა.
- FED-ის შეხვედრის შემდეგ, აშშ-ს 10 წლიან სახაზინო ობლიგაციაზე საპროცენტო განაკვეთი შემცირდა და 24 მარტისთვის 1.62% შეადგინა, თუმცა მოგვიანებით ეს მაჩვენებელი ისევ გაიზარდა და მარტის ბოლოსთვის 1.73% შეადგინა (ობლიგაციების ფასები და შემოსავლიანობა უკუპროპორციულია). მას შემდეგ რაც მარტის დასაწყისში ევროპის ცენტრალურმა ბანკმა ობლიგაციების ყიდვის პროგრამის დაჩქარების შესახებ განაცხადა, ცენტრალური ბანკის მხრიდან განხორციელებული შესყიდვები უკვე 17 მარტის კვირაში გაიზარდა (EUR 14 მლრდ-დან EUR 21.1 მლრდ-მდე). FED-ის მხრიდან აშშ-ს ეკონომიკური ზრდის პროგნოზის გაუმჯობესებამ დადებითი გავლენა იქონია ევროპულ ბაზრებზეც, თუმცა ევროპის ქვეყნებში კორონავირუსის შეზღუდვები ნეგატიურ გავლენას ახდენს კაპიტალის ბაზრებზე. ჯამში, მარტის ბოლო 2 კვირაში STOXX 600 ინდექსი 1.8%-ით გაიზარდა (თვიურ ჭრილში ზრდამ 6.3% შეადგინა), მათ შორის ბანკების ქვესექტორმა აჩვენა ყველაზე კარგი შედეგი, რაც გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების პარალელურად ბანკებისთვის გაუმჯობესებულ მომგებიანობას გულისხმობს.
- აშშ-ში \$1.9 ტრილიონის ფისკალური სტიმულირების დარიგების შემდეგ მარტში კაპიტალის ბაზრებში რეკორდული მოცულობის ინვესტიცია განხორციელდა (დაახლოებით \$170 მლრდ), მათ შორის ძირითადი ნაწილის ინვესტირება აშშ-ს კაპიტალის ბაზრებში განხორციელდა. გაზრდილი საპროცენტო განაკვეთების ფონზე ტექნოლოგიური კომპანიები ინვესტორებისთვის ნაკლებად საინტერესოდ რჩება, NASDAQ კომპოზიტი მარტის ბოლო ორ კვირაში 3.1%-ით შემცირდა. საერთო ჯამში, გლობალური კაპიტალის ინდექსები მარტის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად არ შეცვლილა, S&P 500 0.3%-ით შემცირდა (თვიურ ჭრილში კი 3.9%-ით გაიზარდა).



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 30 მარტის მდგომარეობით


- ჩინეთში, ტექნოლოგიური კომპანიების აქციის ფასები დაეცა (Alibaba, Tencent, Baidu), რაც აშშ-ს მხრიდან საფონდო ბირჟიდან აღნიშნული კომპანიების შესაძლო დელისტინგს უკავშირდება. მარტის ბოლო 2 კვირის განმავლობაში ჩინეთის Shanghai Composite ინდექსი 1.1% -ით გაიზარდა.
- იაპონიის ცენტრალურმა ბანკმა აგრესიული მონეტარული პოლიტიკიდან ეტაპობრივად უფრო "მდგრადი" პოლიტიკისკენ გადასვლის შესახებ განაცხადა. ამასთან, ცენტრალურმა ბანკმა საპროცენტო განაკვეთი უცვლელად (-0.1%) შეინარჩუნა. იაპონიის Nikkei 225 ინდექსი მარტში 1.6%-ით გაიზარდა.

ნავთობი და ოქრო

- საერთაშორისო ენერჯეტიკის სააგენტომ (IAE) - 29 წევრი ქვეყნისა და ევროკომისიის ენერჯეტიკის პოლიტიკის მრჩეველმა - ბოლო განახლებაში განაცხადა, რომ ნავთობზე მოთხოვნა 2019 წელს არსებულ მაჩვენებელზე დაბრუნებას 2023 წლამდე ვერ შეძლებს. ნავთობის გრძელვადიან მოთხოვნაზე რამდენიმე ფაქტორი ახდენს გავლენას, ერთი მხრივ გავითარებად ქვეყნებში მოსახლეობისა და შემოსავლების ზრდა დადებით გავლენას ახდენს საერთო მოთხოვნაზე, მეორე მხრივ განვითარებულ ქვეყნებში გაზრდილი ინტერესი ეფექტურობაზე და ეტაპობრივად ელექტრომობილებზე გადასვლა ამცირებს მოთხოვნას. მარტის პირველ ნახევარში ნავთობის ფასების მნიშვნელოვანი ზრდის შემდეგ, ნავთობის ფასები მარტის მეორე ნახევარში შემცირდა და 18 მარტს დაახლოებით 7%-ით შემცირდა, რაც 2020 წლის ოქტომბრის შემდეგ ყველაზე დიდი ყოველკვირეული შემცირება იყო. თვის ბოლოსთვის Brent-ის ტიპის ნავთობზე ფასმა ბარელზე \$63.6 შეადგინა, ხოლო WTI ტიპის ნავთობის ფასი კი ბარელზე \$60.6 იყო. ნავთობის ფასების ზრდა ნაწილობრივ სუეცის არხში არსებულ შეფერხებას უკავშირდება, რომელზეც გლობალური ნავთობის გადაზიდვების დაახლოებით 10% მოდის.
- გაუმჯობესებული ეკონომიკური მოლოდინების შედეგად, ოქროზე მოთხოვნა შემცირდა და მარტის ბოლოსთვის ფასმა ტროის უნციაზე \$1,685 შეადგინა.

Volatility/მერყეობა ბაზარზე

- მარტის ბოლო 2 კვირაში აშშ-ში, Cboe Volatility (მერყეობის) ინდექსი, VIX, შემცირდა და 30 მარტის მდგომარეობით 19.6 შეადგინა.



წყარო: ბლუმბერგი
შენიშვნა: 2021 წლის 30 მარტის მდგომარეობით

მნიშვნელოვანი შეტყობინება

ეს დოკუმენტი არის სს "გალტ ენდ თაგარტის" ("Galt & Taggart"), რომელიც არის სს საქართველოს ბანკის ჯგუფის ("ჯგუფი") წევრი, საკუთრება და მომზადებულია Galt & Taggart-ის მიერ, მხოლოდ საინფორმაციო მიზნებისთვის და მასში ნახსენები კომპანიებისგან დამოუკიდებლად. ეს დოკუმენტი არ წარმოადგენს რაიმეს ნაწილს და არ უნდა იქნას განხილული, როგორც შეთავაზება ან კლიენტების მოზიდვა ან მოწვევა რაიმე აქტივების ყიდვისთვის ან გაყიდვისთვის, ან გამოწერისთვის და ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ ქმნის საფუძველს კონტრაქტისთვის ან ვალდებულებისთვის და არ შეიძლება განხილული იყოს, როგორც რეკომენდაცია რაიმე მსგავსი ქმედებისთვის.

გალტ ენდ თაგარტი უფლებამოსილია აწარმოოს პროფესიონალური აქტივობა საქართველოს ბაზარზე. ამ დოკუმენტის ცირკულირება გარკვეული იურისდიქციების ფარგლებში შეიძლება აკრძალული იყოს კანონით. პირებს, რომელთა მფლობელობაშიც ეს დოკუმენტი აღმოჩნდება, გალტ ენდ თაგარტისგან მოეთხოვებათ დაიცვან ყველა ის შეზღუდვა, რომელიც მოქმედებს მათ მიმართ. ეს დოკუმენტი არ არის განზრახული გავრცელებისთვის, პირდაპირ ან ირიბად, ან გამოყენებისთვის ნებისმიერი პირის ან ორგანიზაციის მიერ, რომელიც არის რაიმე ადგილის, სახელმწიფოს ან სხვა რაიმე იურისდიქციის მკვიდრი ან მოქალაქე, სადაც ამგვარი გავრცელება, პუბლიკაცია, ხელმისაწვდომობა ან გამოყენება კანონის ან რეგულაციის საწინააღმდეგო იქნებოდა ან რომელიც მოითხოვდა რეგისტრაციას ან ლიცენზირებას ამგვარი იურისდიქციის ფარგლებში.

ინვესტიციები (ან მოკლევადიანი გარიგებები) განვითარებად ბაზრებზე დაკავშირებულია მნიშვნელოვან რისკთან და მერყეობასთან და შეიძლება არ იყოს ყველასთვის შესაფერისი. ამ დოკუმენტის მიმღებმა პირებმა უნდა მიიღონ საკუთარი საინვესტიციო გადაწყვეტილებები, რომლებიც მათ მიჩანათ სწორად, მათ საკუთარ ამოცანებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე დაყრდნობით. ამ პროცესში ამგვარი მიმღები პირები დარწმუნებული უნდა იყვნენ თავიანთ ქმედებებში, როცა ახორციელებენ რისკების შეფასებას, რომლებიც დამახასიათებელია განვითარებად ბაზრებზე ინვესტირებისთვის, მათ შორის პოტენციური პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობა, სხვა პოლიტიკური რისკები, კერძოდ, ცვლილებები კანონებში და ტარიფებში, აქტივების ნაციონალიზაცია და ვალუტის გაცვლითი კურსის რისკი.

გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების, ან რომელიმე სხვა პირის მიერ არ მომხდარა რაიმე რწმუნების, გარანტიის ან ვალდებულების წარდგენა ან აღება, აშკარად გამოხატულის ან ნაგულისხმევის, და ამ დოკუმენტს არ აქვს პრეტენზია მასში არსებული ინფორმაციის უტყუარობაზე, სისწორეზე და ამომწურავობაზე (და იმაზე, რომ რაიმე ინფორმაცია არ არის გამოტოვებული ამ დოკუმენტიდან) და არ შეიძლება მასზე დაყრდნობა. ეს დოკუმენტი არ უნდა განხილვებოდეს, როგორც ბაზრების, ინდუსტრიების და/ან კომპანიების სრული აღწერა, რომლებიც მასში არის ნახსენები. ამ დოკუმენტის არცერთი ნაწილი არ წარმოადგენს სამართლებრივ, საინვესტიციო, ბიზნეს ან საგადასახადო რჩევას, წარსულის ან მომავლის მიმართ, გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მხრიდან. დოკუმენტის მიმღებებს მოეთხოვებათ ჩაატარონ მათი საკუთარი დამოუკიდებელი კვლევა და შეფასება ამ დოკუმენტში განხილულ საკითხებთან დაკავშირებით. ნებისმიერი საინვესტიციო გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნას მხოლოდ ინვესტორის პირადი შეხედულებით. კანონის თანახმად, გალტ ენდ თაგარტი ან ჯგუფის რომელიმე წევრი ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები პასუხისმგებლობას არ იღებენ ნებისმიერ ვალდებულებაზე რაიმე ზიანის ან ზარალის მიმართ, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას, პირდაპირ ან ირიბად, ამ დოკუმენტის ან მისი შინაარსის რაიმე გამოყენების შედეგად, ან რაიმენაირად უკავშირდებოდეს ამ დოკუმენტს, ან რაიმე ქმედების, ან უმოქმედობის შედეგად რომელიმე მხარის მიერ, ამ დოკუმენტის საფუძველზე.

ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ექვემდებარება შემოწმებას, სრულყოფას და ცვლილებას შეტყობინების გარეშე და გალტ ენდ თაგარტს არ აქვს რაიმე ვალდებულება ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის განახლების ან აქტუალურობის შენარჩუნების მიმართ. ამ დოკუმენტის მიწოდება არც ერთ შემთხვევაში არ ნიშნავს იმას, რომ არ მომხდარა ინფორმაციის ცვლილება ამ დოკუმენტის თარიღის შემდგომ ან იმ თარიღის შემდგომ, როდესაც ეს დოკუმენტი უკანასკნელად განახლდა, ან რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია უტყუარია რაიმე პერიოდისთვის იმ თარიღის შემდეგ, როდესაც მისი მიწოდება მოხდა, ან, თუ განსხვავებულია, ამ დოკუმენტში მითითებული თარიღის შემდეგ. გალტ ენდ თაგარტის ან ჯგუფის რომელიმე წევრის ან მათი დირექტორების, თანამშრომლების, ფილიალების, მრჩევლების ან აგენტების მიერ არ გაეცემულა რაიმე რწმუნება ან გარანტია, აშკარად გამოხატული ან ნაგულისხმევი ამ ინფორმაციის სისწორესთან და ამომწურავობასთან დაკავშირებით.

ამ დოკუმენტში მოწოდებული ინფორმაცია და გამოთქმული მოსაზრებები ემყარება ინფორმაციას, რომელიც ხელმისაწვდომი იყო გამოცემის თარიღისთვის და წარმოადგენს მხოლოდ გალტ ენდ თაგარტის შიდა კვლევის ნაწილს. მოსაზრებები, პროგნოზები და შეფასებები, რომლებიც მოცემულია მასში, მიღებულია მესამე მხარის წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ და კეთილსინდისიერად, და შეიძლება შეიცვალოს შეტყობინების გარეშე. მესამე მხარის პუბლიკაციები, კვლევები და გამოკითხვები ზოგადად აჩვენებს, რომ ამ დოკუმენტში მოცემული ინფორმაცია მიღებულია წყაროებიდან, რომლებიც მიჩნეულია სანდოდ, მაგრამ არ არსებობს ამ მონაცემების სისწორის და ამომწურავობის გარანტია. შესაბამისად, არ შეიძლება დაყრდნობა ნებისმიერ იმ მონაცემზე, რომელიც მოცემულია ამ დოკუმენტში. არც გალტ ენდ თაგარტი, არც ჯგუფის რომელიმე წევრი, ან მათი დირექტორები, თანამშრომლები, ფილიალები, მრჩევლები ან აგენტები არ გაეცემენ რაიმე რწმუნებას ან გარანტიას, აშკარად გამოხატულს ან ნაგულისხმევს, ამ დოკუმენტის სარგებლიანობაზე მომავალი საქმიანობის პროგნოზირების საკითხში, ან რომელიმე ფასიანი ქაღალდის ან აქტივის მიმდინარე ან მომავალი ღირებულების შეფასებაში.

გალტ ენდ თაგარტს და ჯგუფის ნებისმიერ წევრს შეიძლება ჰქონდეს ბიზნესი ან ცდილობდეს ბიზნეს-ურთიერთობის დამყარებას კომპანიებთან, რომლებიც მოცულნი არიან ამ კვლევით. შედეგად, ინვესტორებმა უნდა იცოდნენ ინტერესთა პოტენციური კონფლიქტის შესახებ, რომელსაც შეუძლია გავლენა მოახდინოს ამ დოკუმენტში არსებული ინფორმაციის ობიექტურობაზე.

ამ დოკუმენტის ან მისი ნებისმიერი ნაწილის უნებართვო კოპირება, გავრცელება, პუბლიკაცია ან განმეორებითი გადაცემა რაიმე მდითთ ან რაიმე ფორმით ნებისმიერი მიზნისთვის მკაცრად აკრძალულია.

ამ დოკუმენტის მიმღები პირები პასუხისმგებელნი არიან ვირუსების და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან დაცვაზე. ელექტრონული გადაცემის მიღება ხდება მიმღები პირის საკუთარი რისკის ხარჯზე და წარმოადგენს მის პასუხისმგებლობას, მიიღოს ზომები, რომ ვირუსებისგან და სხვა დისტრუქციული მოვლენებისგან უზრუნველყოს დაცვა.

კვლევების დეპარტამენტის უფროსი

ევა ბოჭორიშვილი | evabochorishvili@gt.ge

უფროსი ანალიტიკოსი

ანა ნაჭყებია | ananachkebia@gt.ge

გალტ ენდ თაგარტი

მისამართი: აღმაშენებლის გამზირი 79, თბილისი, 0102,

საქართველო

ტელ: + (995) 32 2401 111

ელ. ფოსტა: research@gt.ge